ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1438502

ნომერი: AR1244561

თარიღი : 15.08.2014

გაცემის თარიღი : 18.08.2014

გაცნობის თარიღი : 18.08.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგების სტუდქალაქის სამხრეთ აღმოსავლეთით წყნეთის გზატკეცილის მიმდებარედ., (ნაკვეთი N4/146) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ქუთათელაძე პ/ნ 01009007500
- თბილისი პ.ქავთარაძის ქ. N 17 ბ. 41

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1244561 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.14.09.004.177) გამიჯვნასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

როგორც უკვე გეცნობათ არქიტექტურის სამსახურის მიერ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.14.09.004.177) მომზადებულია განაშენიანების რეგულირების გეგმარებითი დავალება (2011.03.15წ. #284) და 01/1003 (2011.05.13წ.) ბრძანებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რის შემდგომაც თქვენი 03.15.2013წ AR1116705 განცხადების საფუძველზე საკითხი განხილული იქნა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" 2013 წლის 27 მარტის #12 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს მიეცა თანხმობა, თუმცა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებულ პროექტში არსებული ხარვეზების გამოუსწორებლობის გამო საკითხი დარჩა განუხილველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არქიტექტურის სამსახური არ არის წინააღმდეგი მოხდეს მოცემული ტერიტორიის გამიჯვნა, თქვენი მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, იმ პირობით, თუ გამიჯვნის შემდგომ ტერიტორიაზე დაცული და გამოყენებული იქნება შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტში (2011.05.13წ. 01/1003) განსაზღვრული პირობები და ასევე აღნიშნული გამიჯვნა შესაბამისად იქნება ასახული ზემოაღნიშნულ (03.15.2013წ AR1116705) შესათანხმებელ განაშენიანების რეგულირების გეგმაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.